საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1104 2016 წლის 10 ივნისი ქ. თბილისი

სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სს „საპარტნიორო ფონდმა“ (ს/ნ: 404404550) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით დამტკიცებული „დამწყები საწარმოების (სტარტაპების) ხელშეწყობის პროგრამის“ შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან (სარეკლამო-საინფორმაციო და მარკეტინგული მასალების დამზადება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სხვა სარეკლამო საშუალებებში, მათ შორის, ტელევიზიებში, რადიოში, გარე რეკლამის საშუალებებში, ბანერებზე, ბილბორდებზე, ინტერნეტში, საერთაშორისო და ადგილობრივ ბეჭდვით მედიაში სარეკლამო-საინფორმაციო მასალების განთავსება, სხვადასხვა სახის პროდუქციის ბეჭდვა, ჰოსტინგი, პრეზენტაციებისა და ღონისძიებების

ორგანიზება, სპეციალური სასწავლო კურსების, ტრენინგებისა და პროგრამების ორგანიზება, სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალების მომზადება) დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საკუთარი სახსრებით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ის მიმართ არ გავრცელდეს ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 და მე-12 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**